საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

საქართველოს პარლამენტი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

8 Rustaveli Avenue, 0118, Tbilisi, Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 259
„10“ „06“ 2024 წ.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტების (№07-2/397; 04.06.2024) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები (№07-2/397; 04.06.2024) და აღნიშნავს შემდეგს:

ამნისტიას, როგორც ჰუმანიზმის პრინციპის სამართლებრივ გამოხატულებას, მიუხედავად სახელწოდებათა სახესხვაობისა, ამა თუ იმ ფორმით უამრავი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად - „ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ“. სამართლის თეორიის თვალსაზრისით საყურადღებო და გასათვალისწინებელია ამნისტიის სამართლებრივი ბუნების თავისებურება, რომელიც ვლინდება იმაში, რომ იგი ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული სახის ღონისძიებაა და ვრცელდება მხოლოდ იმ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილ იქნა ამნისტიის აქტში მითითებულ დრომდე. სწორედ ზემოხსენებულ პრინციპებს ემყარება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ამნისტიის („ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონების) ცალ-ცალკე დამოუკიდებელი აქტების სახით მიღების დამკვიდრებული პრაქტიკა (დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე თითქმის ორი ათეული ამნისტიის აქტი იქნა გამოცემული)

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს პარლამენტის ბიუროს იმსჯელოს ზემოხსენებული კანონის პროექტების განხილვის პროცედურების დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი